სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-02/222

ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების ბსუ-ს პორტალზე ასახვის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, 66-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების (ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 21.11.2025, №06-01/149 დადგენილებით), „ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს №01-02/155 ბრძანების, "ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იაპონიაში, ტოკიოს მეტროპოლიტენ უნივერსიტეტში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 2 დეკემბრის №01-14/679 ბრძანების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათების (№1510771, 04/11/2025 წ. და №1772314, 11/12/2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ,,**ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების ბსუ-ს პორტალზე ასახვის წესი“,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება აისახოს ბსუ-ს პორტალზე და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
3. ფაკულტეტების დეკანებს დაევალოს წინამდებარე ბრძანება გააცნოს შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალს.
4. **ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე** (ველები: ,,რექტორის ბრძანებები“ ,,იურიდიული ცნობარი“, ,,სტუდენტთა გზამკვლევი“).
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (სამსახურებს, ბსუ-ს პორტალის ადმინისტრატორს), ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე სასწავლო
და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**

,,ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების ბსუ-ს პორტალზე ასახვის წესის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 11 დეკემბრის №01-02/222 ბრძანების №1 დანართი

ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების ბსუ-ს პორტალზე ასახვის წესი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“ ან ,,უნივერსიტეტი“) აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის (,,**სტუდენტის შეფასების წესი“)** საფუძველზე, რომელიც **არეგულირებს** აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესში, სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი <u>აკადემიური და მოწვეული პერსონალის</u> (შემდეგში - **საგნის ლექტორი)** მიერ ბსუ-ს პორტალზე, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი) **ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების ასახვის (შეტანის) ვადებს და პროცედურას.**
2. წინამდებარე წესის მიზანია ბსუ-ს სტუდენტთა შეფასების ობიექტურობისა და სისტემატიზაციის უზრუნველყოფა.
3. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონულ ჟურნალში) ბსუ-ს სტუდენტთა შეფასებების შეტანა (ასახვა) ხორციელდება სასწავლო კურსის/კომპონენტის სილაბუსით შესაბამისი სასწავლო კვირისათვის გათვალისწინებული აქტივობის შედეგად, სემესტრის განმავლობაში დადგენილი **განრიგის** შესაბამისად.
4. ბსუ-ს სტუდენტთა მიმდინარე შეფასებების ასახვას საგნის ლექტორი ვერ შეძლებს და ელექტრონულ ჟურნალში წვდომა შეეზღუდება (იბლოკება) დროის გარკვეულ პერიოდებში, შემდეგი წესის შესაბამისად:

ა) 1–2 სასწავლო კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა მე-4 სასწავლო კვირის დასრულებისთანავე;

ბ) მე-3–4 სასწავლო კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა მე-6 სასწავლო კვირის დასრულებისთანავე;

გ) მე-5–6 სასწავლო კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა მე-8 სასწავლო კვირის დასრულებისთანავე;

დ) მე-7–8 სასწავლო კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა მე-10 სასწავლო კვირის დასრულებისთანავე;

ე) მე-9 სასწავლო კვირაში (აკადემიური კალენდრის მიხედვით გამონაკლისის დაშვების შემთხვევაში მე-8 სასწავლო კვირაში) ჩატარებული <u>შუალედური გამოცდის</u> შედეგად სტუდენტთა შეფასებების ასახვა უნდა განხორციელდეს ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-14 მუხლის შესაბამისად;

ვ) მე-10–11 სასწავლო კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა მე-13 სასწავლო კვირის დასრულებისთანავე;

ზ) მე-12–13 სასწავლო კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა მე-15 სასწავლო კვირის დასრულებისთანავე;

თ) მე-14–15 კვირების შეფასებებისთვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე **არაუგვიანეს 24 საათით ადრე.**

ი) <u>დასკვნითი გამოცდის</u> შეფასებისათვის განკუთვნილ ველებზე შეიზღუდება ხელმისაწვდომობა აკადემიური კალენდრით განსაზღვრული საგამოცდო პერიოდის დასრულების დღეს.

5. ელექტრონულ ჟურნალში სტუდენტთა შეფასებების შეტანის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, აკადემიური ან მოწვეული პერსონალი (საგნის ლექტორები) ვალდებულია ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების (eFlow სისტემის) მეშვეობით წარადგინოს წერილობითი განაცხადი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და დეკანის სახელზე. განაცხადში უნდა დასაბუთდეს ვადის დარღვევის მიზეზი (მივლინება, შვებულება, შრომისუუნარობის ფურცელი ან სხვა ფაქტობრივი გარემოება), მიეთითოს სტუდენტის პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი), სასწავლო კურსის/კომპონენტის დასახელება და ელექტრონულ ჟურნალში შესატანი შეფასება (განაცხადს თან უნდა დაერთოს ვადის დარღვევის მიზეზის დასაბუთების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და დეკანის მიერ საგნის ლექტორის განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს სამსახურებრივ ბარათს რექტორის სახელზე (დეკანის ვიზირებით), რომელშიც აღნიშნავს სტუდენტის პირად მონაცემებს (სახელს, გვარს, პირადი ნომერს), შესაბამის სასწავლო კურსს/კომპონენტს და ჟურნალში შესატანი შეფასებას. აღნიშნულ სამსახურებრივ ბარათს რექტორი შესასრულებლად ავალებს ბსუ-ს პორტალის (ელექტრონული ჟურნალის) ადმინისტრატორს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის შეფასების ასახვას ელექტრონულ ჟურნალში ან/და ჟურნალის დროებით ხელმისაწვდომობას, სტუდენტის შეფასების საგნის ლექტორის მიერ ასახვის მიზნით.
6. წინამდებარე წესის დარღვევა განიხილება შესაბამისი საგნის ლექტორის მიერ შრომითი ვალდებულების შეუსრულებლობად და შესაძლოა გახდეს დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველი, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად.
7. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული ჟურნალის ფუნქციონირება შეიზღუდება ტექნიკური ხარვეზის ან სისტემური შეფერხების გამო, **საგნის ლექტორი ვალდებულია** ხარვეზის გამოვლენიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს წარმოადგინოს სამსახურებრივი ბარათი (ელექტრონული საქმისწარმოების საშუალებით) **ან** პორტალის ადმინისტრატორს (ბსუ-ს პორტალის მეშვეობით, ,,ტექნიკური დახმარების" ველიდან). აღნიშნულ შემთხვევებში სტუდენტთა შეფასებების შეტანის ვადა განისაზღვრება პრობლემის აღმოფხვრიდან ერთ სამუშაო დღეში.
8. უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უზრუნველყოფს წინამდებარე წესის აღსრულების (შესრულების) მონიტორინგს და ყოველ სემესტრის ბოლოს წარუდგენს შესაბამის ანგარიშს რექტორსა და აკადემიურ საბჭოს.